კვირა, 20 ნოემბერი 1916 წ.

redakciis adresi:
თბილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკიკ-მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 47

მძიმე საქმეები

— თქვენო აღმატებულებავ!

— რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის, რომ ნუ მაცდენთ, როცა მძიმე საქმე ხელთ მიპყრია მეთქი. გამოვწვავ კალათს და შემდეგ განმიმეორეთ თქვენი მოხსენება.

გთხოვთ წაიკითხოთ.

ქიზიყში

მშვენიერი ქიზიყი ჩემი ხსოვნიდან არასოდეს ამოვა. გულში ჩამრჩება არა მხოლოთ იმიტომ, რომ პირველ საღამოსვე დამალევინეს სამიოდ ხელადა ლალისფერი ღვინო და სრულიათ დამიკარგეს გრძნობა მეხსიერებისა; არ ამოვა მხოლოთ იმიტომ, რომ იქ გავეცანი მე ქიზიყის დედოფალს, ანაგის მშვენებას—ღვთაებრივ თებროს.

თებრო მთელ ქიზიყს ენაზე აკერია!

თებროს კი მთელი ქიზიყი ფეხებზე აკერია!

თებრო ქიზიყის დედოფალია და ვიტყვი აშკარათ, დედოფალი ღირსეული.

მე ვერ წარმომიდგენია ქიზიყი თებროს გარეშე, და მით უმეტეს—თებრო გარეშე ქიზიყისა.

თებრო ქიზიყის შვილია,—ქიზიყი თებროს სამშობლო აკვანია.

მთელს კახეთში ორი პოპულიარული პიროვნებაა: დავით ლუკაშვილი და თებრო. პირველი უფლობს ზემო კახეთს, მეორე კი ქვემოს.

ვინ არის თებრო?

დიახ! მართლაც რომ საკითხავია, თუ ვინ არის თებრო. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო ძნელია, ვიდრე ქიზიყში სტუმრობის დროს ღვინის სმაზე უარის თქმა. მე რომ ბედნიერება მქონდეს და რუსი ვიყო, მაშინ ადვილათ ვიტყოდი ვინც არის ჩემი მომხიბვლელი ქ-ნი თებრო.

თებრო „იერომონახია". ისეთივე იერომონახია, როგორც მაგალითათ მარდარიი, ილიოდორე, ან უკეთ ვსთქვათ რასპუტინი. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ თებრო ქალია, ისინი კი ვაჟები არიან და არც თუ ურიგო ვაჟები. იერომონახი ჩემის აზრით საშუალო ტიპია ერისკაცსა და სასულიეროს შორის. იგი არც ერია, არც ბერი.

თებროც სწორეთ ამ დარგის არსებაა. იგი არც სოფლის ქალია, არც მონაზონი, ის ნამდვილი „იერომონაშკაა" რასპუტინის ტიპისა.

ამიტომაც უყვარს თებრო მთელ ქიზიყს და ამიტომაც თავს ევლება მას ეს უწარჩინებულესი მხარე ჩვენი სამშობლოისა.

ვატყობ თქვენ მაინც ვერ გაიგეთ, ვინ არის თებრო, რომელმაც ასე მიიჯაჭვა ჩემი ყურადღება და მთელი უაღრეს კულტურული პროვინციის მოსიყვარულე გული. ვეცდები გაგაცნოთ.

სოფელ ანაგაში, ოორამიანთ დუქნის დასწვრივ, სწორეთ იქ, სადაც ანაგის მამასახლისს ბოჭკების საკეთებელი სახელოსნო უდგია, იწყება რამოდენიმე საჟენის სიფართე რიყე. რიყე ქიზიყში სხვაც ბევრია, მაგრამ ამ რიყეს სხვა ვერ შეედრება; ვერ შეედრება, ვინაიდან მხოლოთ ამ რიყეს მივყევართ ჩვენ ქ-ნი თებროს სავანეში.

როცა იმ შაბათ დილით, ქიზიყელ გლეხის ჩოხაში გამოწყობილი, ამ რიყეს შევუდექი, უნებლიეთ აღსდგა ჩემს მეხსიერებაში ძველათ გაგონილი ამბავი შესახებ ჯოჯოხეთსა და სამოთხედ მიმავალ გზათა სხვადასხვაობისა. ჩემი ძვირფასი მასწავლებელი, მამა ონისიმე*) ყოველთვის გვეუბნებოდა:—შვილებო, ჯოჯოხეთისკენ ფართე და მშვენიერი გზა მიდის, სამოთხისაკენ კი ვიწრო და ეკლოვანი. სამაგიეროთ, როცა გზას გაივლით სასყიდელი იქ მოგეზღვებათ: ეკლოვან გზაზე მავალთ საუკუნო ბედნიერება, ხოლო ფართე, სიამოვნების გზით მოგზაურთ კი საუკუნო ტანჯვა-წამებაო.

გზა ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკლესიისაკენ, თუმცა ფართე რიყეს მისდევს, მაგრამ ერთობ ძნელი და მსხვილ ქვოვანია. რა ვუყოთ მერმე ზედ ეკლები რომ არ იყოს? სხვაფრივ პირდაპირ სამოთხედ მიმავალია და არც მოსტყუვდება იქით წამსვლელი. ვერს ნახევარი, დიდი-დიდი ორი ვერსის მანძილზე გაგრძელდეს თქვენი ტანჯვა. მიადგებით მთის ძირზე მწვანე ხეებში აგებულ პატარა თეთრ ეკლესიას, რომლის ვიწრო ეზო მოფენილია ფარდულებით.

აი აქ, ამ ძველის-ძველ მთავარ ანგელოზის ეკლესიაში სცხოვრობს ქ-ნი თებრო ქიზიყისა, და მასთან ერთად სხვა უფრო დაბალი (ღირსებით) მკითხავები და ქალწულები.

ვისაც ეს ეკლესია არ უნახავს და არ მოუსმენია ტკბილი წინასწარმეტყველური საუბარი ქალბატონი თებროსი; დასასრულ, ვისაც საფუძვლიანათ არ შეუსწავლია კულტურული მუშაობა ამ მკითხავთა სავანესი ქიზიყის სასარგებლოთ დიდის ენერ-

*) ის „ონისიმე" არ გეგონოთ, რომელიც ძველათ ჩენს ჟურნალში იგავებსა და შარადებს სწერდა.

გიით წარმოებული, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს გრძნეულ სიტყვებს ჩვენი დიდებული მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისას:

„მკითხაობა ჩვენ ცხოვრების
უმთავრესი არის მზანი,
ძველთაგან ხალხს შენახორცი
თუ მოვსპეთ დავიღუპენით“.

არსად საქართველოში ასე განვითარებული არ არის მკითხაობა, როგორც კახეთში; არსად კახეთში ისე არ გაუშლია ფრთები მკითხავთა მოღვაწეობას, როგორც ქიზიყში და არსად ქიზიყში განვითარების იმ უმაღლეს წერტილამდი არ ასულა ეგ სანაქებო ხელობა, როგორც ს. ანაგის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში. მართალია მას კონკურენციას უწევს რომელიღაც ზემოკახური წმინდა გიორგი, მაგრამ ამაოდ, სად მთავარ-ანგელოზი ანაგისა და სად წმინდა გიორგი!!

ვიდრე მე თქვენ თებროს პიროვნებას არსებითად გაგაცნობდეთ, ვეცდები „მთავარ-ანგელოზის“ სავანე აგიწეროთ. პატარა ეკლესიის ეზო ორი თუ სამიოდ ტერრასისაგან შესდგება. შუაგულში თვით ეკლესიაა აგებული, ეკლესიის ზემოთ გრძელი ფარდული, ხოლო დაბლა პატარა მოედანი და ქ-ნი თებროს სადგომი. ეკლესიის გვერდითვე არის პატარა ქვის შენობა **კურატებისათვის***).

საინტერესო უმთავრესათ ქვედა ტერრასა და მისი ავანჩავანია. თუ არა ვცდები, აქ ბინადრობს და აქედან ხელმძღვანელობს ქიზიყის წინმსვლელობას ქ-ნი თებრო.

პატარა მოედანი შუაზე გ ̣ აღობილია და სწორეთ ღობეს შიგნით არის, რი ორც საცხოვრებელი, აგრეთვე კერძო სამლოცვ ̣ ო თებროსი. ეგ უკანასკნელი წარმოადგენს პატ ̣ ა, ვიწრო ფიცრულ ოთახს, სწორეთ იმის მაგვარს, როგორსაც სააგარაკო აღგილებში აკეთებენ სახლის შორიახლოს.

სამლოცველოში ჰკიდია რამოდენიმე ხატი, წინ გაშლილი აქვს სხვა და სხვა სანოვაგე, უმთავრესათ ხილეულობა.

თებრო ვაჟირელი.

თებრო ახალგაზრდა, ლამაზი და ეშხიანი ქალია. ჩვენი სურათი,

ჭეშმარიტი

გამომხატველია ორიგინალისა. მისი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი, გრძნეული შემოხედვა აშკარა ჰყოფს მის დაკვირვებულ ნიჭსა და ცხოვრებაში გამოცდილებას. თებროს ტანთ თეთრი სამოსელი აცვია, რასაკვირველია, ნიშნად უმანკოებისა.

საჭიროა ვიზრუნოთ მომავალზედაც. კარგი იქნებოდა ჩვენი ჭირისუფალი გაზეთი „საქართველო“ აქაც გამოიჩენდეს ინიციატივასა და ენერგიას.

ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ქ-ნი თებრო **არაფერს არა სჭამს**, მე სხვას არ დავუჯერებდი მის შესახებ ასეთ თქმას, მაგრამ ჩემი სა-

*) იმის შიშით, რომ წერილი ერთობ ვრცელი გ ̣ ამოვა, ჩემს თავს ნებას ვაძლევ **„კურატების“** შესახებ აქ არაფერი ვსთქვა და მათ ცალკე წერილი ვუძ

კუთარის ყურებით გავიგონე მის პატიოსან ბაგეთაგან და მე შემიძლია ცხადში ნათქვამი არ დავუჯერო მას, ვისაც **მთელი ქიზიყი ხიზმრებზაც კი უჯერის?!** რასაკვირველია არ შემიძლია არ დავიჯერო.

მართალია, აქაც არიან ისეთი ურწმუნონი, რომელნიც ამბობენ: თებრო მხოლოდ თეთრ ბულკებსა და ქათმის ხორცს სჭამს, სხვას არაფერსო, მაგრამ ამით ისინი ვერავის მოატყუებენ: ვინ არ იცის, რომ თეთრის პურითა და ქათმის ხორცით ადამიანი ასე ვერასოდეს ვერ გასუქდება, როგორაც ქ-ნი თებროა ხორცშესხმული.

თებრო, რასაკვირველია, არც ღვინოსა სვამს, მით უმეტეს თუ ღვინო საუკეთესო ღირსებისა არ არის. ქიზიყელებს უხვად მოაქვთ ეგ შესაწირავი, მაგრამ თებრო ყველას როდი სცემს იმდენ პატივს, რომ მიიღოს მისგან „ღვთისადმი“ შენაწირი ძღვენი. მიიღებს მაშინ, თუ შესაწირავი უნაკლულო ღირსებისაა.

ვინ არ იცის, რომ როცა ქიზიყელები მთავარ-ანგელოზის ეკლესიას ქათმებს აუფრენენ, იმ ქათმების ღირსება-ნაკლულოვანებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ ქათამმა თავისი მოვალეობა რიგიანათ ვერ შეასრულა, მაშინ ხომ განსაცდელი მოელის ქათმის შემფრენის ოჯახს, ან მის ავათმყოფს!

ანაგის „მთავარ-ანგელოზი“ იმდენათ მთავარ-ანგელოზით როდია განთქმული, რამდენათაც ქ-ნი თებროთი და სხვა წარჩინებული მკითხავი ქალებით. სწორეთ ამით დაიმსახურა

ასეთი დიდი სახელი.

თითქმის ყოველ ღამ, განსაკუთრებით კი შემოდგომაზე, როცა დღესასწაული მთავარ-ანგელოზისა მოახლოვდება, ანაგის პატარა ეკლესიას აურაცხელი მლოცველი და თებროს პატივისმცემელი ხალხი აწყდება. არის დღე, როცა ეკლესიის გალავანში რამოდენიმე ძროხა და მრავალი ცხვარი იკვლის. გალავანი გაჩირაღდნებულია კოკონებით, რაზედაც იხარშება ხორცი მლოცველთათვის. ხალხი, რასაკვირველია, არც მასპინძელთა ინტერესს ივიწყებს: თავ-ფეხი, ბეჭი და ტყავი საქონლისა იმათთვის იწირება.

ანაგის „მთავარ-ანგელოზის“ მკითხავები მარტო ავათმყოფებს როდი ჰკურნავენ. მათი სამოღვაწეო სფერო უფრო კრცელია. ისინი აწესრიგებენ ოჯახურ უთანხმოებას, შეყვარებულთა ბედს, ცოლმართა განორების საქმეს და სხვა მრავალს.

ვსთქვათ ქ-ნი კეკე ჩიბორელისა ვერ შეეთვისა თავის სჯულიერ მეუღლეს ნიკას. ყველაფერი ხომ შემთხვევის საქმეა. კეკეს მოეწონა მეზობლის ბიჭი ტუხა. ისინი იტანჯებიან, უცეცხლოთ იდაგებიან და ამ ტანჯვას ხომ უნდა მოეღოს ბოლო? რასაკვირველია, უნდ მოეღოს! და აი კეკე ნახულობს „მთავარ-ანგელოზის“ რომელიმე მკითხავს. მკითხავი ნახულობს ნიკა ჩიბორელსა და ურჩევს ცოლი თვისი გაგზავნოს ხატის წინაშე სალოცავათ. ნიკაც უბამს ურემს და მიდის. კეკეს სტოვებს მთავარ-ანგელოზის ჭერ ქვეშ, თითონ კი ოჯახში ბრუნდება. იმავე მკითხავების დარიგებით იქვე იგზავნება სალოცავათ მეზობლის ბიჭი ტუხაც. ან კი რატომ მარტო კეკე უნდა გაიგზავნოს იმ მიყრუებულსა და ყრუ უდაბურ მთის კუნჭულში? ტუხაც ხომ დამნაშავეა.

როდესაც, ღამით, შემდგომად მორიგი ლიტანიისა, მლოცველი ახალგაზრდობა მწვადებსა და კახურ ღვინოს მოუჯდება, ეკლესიის გალავანი მხიარულებისა და სიამოვნების ბუდეთ იქცევა ხოლმე. ღვინოს ქიზიყელები არა ზოგავენ და რასაკვირველია არც ღვინო ზოგავს მათ. ისინი წყვილ-წყვილათ იფანტებიან ეკლესიის არეში და მყუდრო ღამის მშვენიერებით სტკბებიან. საზოგადოთ მლოცველები ღამეს ფარდულებში ათევენ. ფარდული მხოლოთ ზემოდან არის გადახურული, კედლები კი არა აქვს. იშვიათად გამოერევა ისეთი მორწმუნე და ღვთისნიერი გლეხკაცი, რომელსაც თებრო თავის ჭერ ქვეშ დაუთმობს ხოლმე—ბინას.

თითონ თებროს არასოდეს არა სძინავს. ეს მე პირდაპირ მისგან გავიგონე. არა თუ სძინავს, იგი თავის ოთახშიაც არასოდეს არ შედის. ზამთარ-ზაფხულ თებროს გარეთ უდგას ფიცრის ბაგა და იქ ხელ აპყრობით ლოცულობს წმინდა ბარბარეს წინაშე ცოდვილი ქვეყნისათვის.

თებრო ვაძირელი.

თებრო ქვრივია. მას ჰყოლია ღვთისნიერი მეუღლე, მაგრამ სიზმარი უნახავს და გარდაცვლილა. მას შემდეგ თებრო ანაგის „მთავარ ანგელოზს“ შემოჰკედლებია და მისი ძლიერება უმწვერალესობამდე აუყვანია. ამ მაგალითით წაქეზებულნი, ახალგაზრდა ქვრივები ახლაც უხვათ აწყდებიან თებროს სავანეს და დაობლებულ ცხოვრებას აუარებელ მლოცველთა სამსახურში ატარებენ. ესენი არიან „მთავარ-ანგელოზის“ სიმამაყეთა მემკვიდრენი. როდესაც წმინდა ბარბარე თავისთან წაიყვანს თებროსა და მის თანაშემწეებს, მაშინ აი ეს ახალგაზრდა ქვრივები დაიჭერენ მათ ადგილს.

საღამოთი, როცა მლოცველები მოგროვდებიან, ერთი ქადაგთაგანის წინამძღოლობით უვლიან ეკლესიას გარშემო. ქადაგი ორ ჭალს, ან კაცს უჭირავს ხელში. იმისი სიარული ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქო თითეულ ნაბიჯს ზენაარსის შთაგონებითა სდგამდეს. უცებ შესდგება, შეშლილივით თვალებს დააბეცებს, გაშტერდება. ხალხი ამ დროს შიშითა ჰკრთის და პირჯვარს იწერს. ქადაგი უცებ მოტრიალდება, კედელს დააცქერდება და რომელიმე შავ წერტილს ემთხვევა. ყველანი მის მაგალითს ჰბაძვენ. ქადაგი ზოგჯერ წაიქცევა, ტირილი და ბოდვა აუვარდება, ვაი მას ვისი სახელიც ბოდვაში გამოერევა. ზოგიერთი დათქმული, მიწაზე პირქვე ჩაემხობა და ამდენი ხალხი ზედ გადაუვლის ხოლმე.

ძნელია ყველაფრის აწერა. ქიზიყის ინტელიგენციის სასიქადულოთ უნდა ითქვას, რომ მას ყოველი ღონისძიება უხმარია, ეს ჩინებული ჩვეულება განმტკიცებულიყო და განვითარებულიყო ხალხში. „კაცია ადამიანში“ მკითხავთა შესახებ აწერილი ცნობები მონაგონი არ არის ანაგის მთავა-ანგელოზის მობინადრეთა მოქმედებისა. მე ვეჭვობ ხალხმა დაუფასოს ქიზიყის ინტელიგენციას ეს გულმოდგინეობა ძველ ზნე-ჩვეულებათა დაცვაში.

ეშმაკი.

(დასასრული იქნება)

მგზავრი

ერთ გლეხ კაცს ერთხელ, საღამოს, სტუმრად,
(თქვენით მიხვდებით აქ მიზეზს, თუ რად),
კარზე მოადგა ვიღაცა მგზავრი.
(ვინ იყო, ნუ გვაქვს ჩვენ იმის ჯავრი).
ის დაქანცული ფეხს ძლივს ადგამდა,
(წორეთ, მიტომაც აქ დაუღამდა),
და შეაკედლა ამ ჩვენს გლეხს თავი,
(გრძელი დარჩება მგონი იგავი).
გლეხი დაუხვდა სტუმარს ქველურათ,
(რაღა თქმა უნდა, გლეხ-ქართველურათ),
მიართვა ვახშმათ მხალი სხვა და სხვა,
(ღვინოც ხელადით... ასვა და ასვა!)
ლობიოც ჰქონდა (მარილ ნაკლები),
მწვადიც... მწვანილიც (იმისი მხლები!)
ასიამოვნა პურით და ღვინით
თანაც მიღებით, საწოლით, ბინით,
დააცლევინა დოქი და ჭიქა,
ასვა-აჭამა, შეაჭიკჭიკა.
და მოასვენა როგორც წესია,
(ეს ხომ ვახშამზე უკეთესია!)

მგზავრმა დაღლილმა რა იგრძნო გვერდზე
სქელი ლეიბი, რბილი საბანი,
(საწოლი იყო სწორი და ვაკე,
როგორც იტყვიან, გაიდაბანი).
გათენებამდის (რა აწუხებდა)
გაბმული ხვრინვით უძახა ბანი...

—

დილა ადრიან წამოდგა მგზავრი,
რა მოიკრიბა ძალი და ღონე,
და გზას გაუდგა თურმე, მახვილი
იგი ყნოსვისა და გემოს მქონე.
განვლო მანძილი და შუადღისას,
თუ ცოტა გვიან—მზე შუბის ტარზე
რო უკუ იქცა, სწორედ რომ ამ დროს
ისევ მოადგა ამ ჩვენს გლეხს კარზე.
მასპინძელს უთხრა:—უზომო არის
შენი ამაგი ჩემზე, მარაო,
ერთი რამ მძიმეთ მაწვება გულზე
და უნდა გითხრა, ვერ დავფარაო.
— **წუხელ ლობიოს მარილი აკლდა**
და არ სთქვა ჩემზე—ვერ მიმხვდარაო;
აწ კი მშვიდობით, მივეჩქარები,
გასავლელი მაქვს გრძელი შარაო.

—

ჩემზეც ფიქრობენ: ვითომც ვერ ვხედავ,
კეთილ, ან მრუდე გზით ვინც იარა.
და თუ რამე ჯერ კიდევ არ მითქვამს,
იმას არ ნიშნავს, რომ ვიცი არა.

ა. ბლიკვაძე

დეპეშები

—

სამტრედია. 5 გიორგობისთვეს მოხდა ვაჭართა კრება. ადგილობრივ „სოციალისტ-ფედერალისტთა“ ადგილობრივმა ორგანიზაციამ წამოაყენა „პროგრამა მინიმუმის“ პირველი მუხლი, სახელდობრ: ბოქაულისათვის ჯამაგირის მომატება. სამწუხაროთ, სამტრედიელი ვაჭრები ამ „მუმულიშვილური“ საქმისათვის მოუმზადებელნი აღმოჩნდენ და წინადადებამ თქვენი ჭირი წაიღო.

სამაგიეროთ ჩინებულათ მიდის საქმე „პროგრამა მაქსიმუმის“ პირველი მუხლისა. „მამულიშვილები“ ბ-ნი მაზრის უფროსის დახმარებით ცდილობენ სამტრედიის მამასახლისის არჩევანის გაუქმებას და ხალხის მიერ არჩეული პირის მაგივრათ თავისი კანდიდატის ჩაჩხირვას. მართალია საპონი ერთობ გაძვირდა, მაგრამ ადგილობრივი „მამულიშვილები“ მაინც ოსტატურათ უძვრებიან ფეხქვეშ სამტრედიის ადმინისტრაციას.

—

„სახალხო გაზეთის“ რედაქციას ადგილობრივი წერა-კითხვის საზოგადოების კანტორის ვალი დაედვა. ამის გამო რედაქციამ ჩამოართვა განყოფილებას გაზეთის აგენტობა და კერძო პირს გადასცა. „ზვირთმაც“ იქით შეუხვია. თუ აიგო ოქროს სასახლეები, სწორეთ დღეს აიგებს ახალი აგენტი აღნიშნული გაზეთებისა. ცხადია „ეროვნული სოციალისტები“ კერძო კაპიტალის გაძლიერებას ცდილობენ საზოგადოებრივის საზარალოთ.

—

პროექტორი „რიფას“ პატრონი, ბ-ნი აქვსენტი ნაჭყეტია უფრო პრაქტიკულ გზას დაადგა: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო“, ტყუილათ ხომ არ ამბობს ქართული ანდაზა. ვიღაც უცხო კასირშა ქალს მიჰქონდა ფულები, თითქო საკუთარი ჯამი არა ჰქონოდეს. ახლა უცხო ქალი დაითხოვა და ლუკმას საკუთარი მეუღლე შეუყენა.

—

ეროვნული სოციალისტი ნოე კალანდაძე ქადაგათ დაეცა. ხონელ ცილისმწამებელთა აღსარებამ მკითხაობის გუნებაზე დააყენა: ქიზიყელ თებროსავით ის უხსნის ხალხს ოქის: გამო სასამართლოს არა სცალია, თორემ ხონელი რაინდები პ. გელეიშვილს ასე არ მოექცეოდენო.

ორი ეშმაკი

(სამტრედიისათვის).

— ახალი რა იცი, მეგობარო?

— ახალი, ბევრი არაფერი... აი, იმაზე... ისიდორეზე მოგახსენებენ...

— რაო? რა, ამბავია?

— ამას წინად ვიღაც მავნე პირი და ისიდორ ერთად პრაჟექტორის წინ ტკბილათ საუბრობდ ოცისთავების არჩევნებზე, კოოპერატივის საქმეებზ

დასელების მოღვაწეობაზეო და სხვა... ამბობენ ისიდორე ძალზე აღელვებული იყოვო.

— ვინ უნდა ყოფილიყო, თუ საზოგადო მოღვაწე არა? ისიდორეს უბრალო პირებთან საუბარი არ უყვარს.

— დიახ, ამბობენ დიდი პოლიტიკური მოღვაწე იყოვო.

— შენ ხო არ გინახავს?

— არა, მე სხვებმა გადმომცეს. კოპერატივის საზოგადო კრებასაც დასწრებია იგი სტუმარი. ამბობენ ისიდორე თვითონაც არ იყო სტუმრის მადლიერიო, მაგრამ...

— არა, გულკეთილი ისიდორე და მაენე სტუმარი—ამის მეც ვერ დავიჯერებ.

— თქვენს დაბაში დიდი ცვლილება მომხდარა, ძველი ბოქაული ხელის ჭუჭყისათვის გადაუყენებიათ, მაგრამ საინტერესოა თუ ვინ დანიშნეს.?

— ოჰ, ძმაო, უქმად ჩაუარა შრომამ ჩვენს „მამულიშვილებს!. ბევრი ქართველი კანდიდატი მოსძებნეს ამ საპატიო ადგილზე, შეაწუხეს სუფსანატანები, აფრინეს დელეგატები, ისიდორემ მთელი ღამე ტელეფონის ახლო გაათენა თურმე, მაგრამ ვერას გახდენ. მაინც რუსი,—უცხო ტომის ბოქაული დანიშნეს. არა, ჩვენს დაბას ბედი არ სწყალობს

— მერე როგორ დამოკიდებულობაში არიან ახალთან?

— რო ნახო, ასე იტყვი, ერთად თუ არ დაბადებულან ერთად მაინც გაზრდილანო.

— ასეთია ჩვენი ეროვნული ბურჯების ტაქტიკა. ჯერ ებრძვიან მოწინააღმდეგეს და თუ შეატყვეს მარცხდებიან, მერე ცდილობენ ბრალი სხვას დასდონ— თითონ კი ფეხქვეშ გაუწვნბიან.

ალი.

მესტვირული

(ბალახანიხათვის)

მრავალი ფირმა არის აქ
და გამგე ალაჯიანი*),
მუშის ზურგს ბუზის ამფრენი,
ხელ მარდი აზრით გვიანი.

ტოტა რომ უბაზე შეეხო,
რა აქვს აქ მუშებს ზიანი?
ხელის ქვეილსა დასტებობს
სიდის ლაწანი ხმიანი.

თუ კიდევ სხვისკენ გაექცა—
მას იარადი ძმრიანი,—
(ჯერ თუმც დავმალე, მაშინ კი
გულს მომეტემა ბრიანი.)

ისეთი გრძნობით შეეკრ
მკლავაძე მომქრალ მზიანი,
რომ მუშატ ოხში მოვიდეს;
მაჩუქოს აბაზიანი...

ლია.

მიწაში ვერ ჩაგყავი.

(ანეკდოტი)

(№ 6.)

ერთ კაცს ეავდა ნოქარი,
მეტათ ბატიოსანი,
მაგრამ ამაეი, როგორც
ფეუტურისტი მგოსანი.

თუ რამ ეწეინებოდა,
ტოტა, ფრჩხილის ოდენა,
მეექარას მოგვეებოდა,
არ იტოდა მოთმენა:

— თუ ეს ასე იქნება,
წავალ, გავიქცევიო,
შემდეგ ბევრიც რომ მსდიო
ველარ დამეწევიო.

დიდხან ითმინა ადამ,
ბოლოს ვერ აიტანა,
— დმერთმა მშვიდობა მოგცეს,—
უთხრა და დასტანა:
— ეროთხელ, ქართლის სოფელში,
ჩამოვიდა გურული,
ჩაქურაში ჩამჯდარი,
ბაშლაე წამოხურული.

გზაზე შეხვდა გოგონა,
ტან წერწეტი, დამაზი;

...ქალთა გიმნაზიის მოსამსახურეთათვის
დახმარება ცხოვრების ზაძვირვებისა გამო
მოსალოდნელი არ არის... (ქურ-გაზეთებიდან)

დირექტორი. (მიმართავს მასწავლებლებსა და კლასის „დამებს“) აი, ახლავ მობრძანდება მათი ალმატებულება! ძლიერ მოხარული ვარ, რომ მიუხედავათ ასეთი სიძვირისა თქვენ მოახერხეთ და ასე ჩინებულათ მოიკაზმეთ დღევანდელი ბედნიერი დღისათვის.

ისე მოსრიალდებდა,
როგორც კაი კავაზი.
  მოეწონა და დიდხანს
სდია უკან ტრფიალით,
მოხიბლული, დამწვარი,
მის თვალთ ელვა-ციალით.
  მაგრამ გოგო მიწურში
ჩაძვრა და მიიმალა.
გურული სახტათ დარჩა...
შუბლს ოფლი მოიმშრალა.

  მიაძახა: — კარგი ხარ
შენს ქებას ვერ მოვუვები,
მაგრამ მიწაში მაინც
სწორეთ ვერ ჩამოგუვები!

—

ეს არაკი იმისთვის
გითხარ, ჩემო ძმობილო,
შენც იმას, არ მიბაძო,
მას არ დაეძმობილო!

ჩახრუხაძე.

ღია წერილი

„თუ მოუვასმა მოუვარესა
არა ჭკითხოს:
— როგორ სარო?
წახდა ბაჩა!
რადა დარჩა მათში სამეგობაროო“

სოლომონ ზურგიელიძე.

ბეკოს გაუმარჯოს!

ყმაწვილო, ერთი წერილი აგერ გუშხამ (1915 წლის გიორგობისთვეში) მოგწერე, მარა შენ ხმაი არ გამეცი, პირში წყალი დეიგუბე (აბა ღვინოს არ გააჩერებ ნუ გეშინია) და დამუნჯდი. კი ვიცი ათასი საქმე გაქ, იმფერ ადგილას მსახურობ, რომ ქვეყნის ხალხი ბუზივით უსვრის და ვერ მოიცლი, მარა შენზე ნაკლები ქვეყნის კიცი არ იყო ცხონებული სოლომონი, აი ჩვენი ზურაბა ზურგიელიძის ბიჭი. ახლა მთელი ქვეყანა იმაზე ლაპარაკობს და ზოგ-ზოგი მართლაც იმფერი დუუწერია იმ დასაცალებელს, რომ შიგ გულში მოგხვდება კაცს. მეც ამევიწერე ერთი კუმფხალი შენდა საყურადღებოთ. მართლა რავა, ძმა კაცი და მოყვარე თუ შინაურიზა არ ვარგა, სხვას რას გაუკეთებს? კაცო, შენს ამბავს ისე მეველი, რავარც მევრეთ მოსვლას. აგია ახლა მომწერს რამეს, ახლა მაინც მომწერს მეთქი, ვუყურეფ, და ქე შემოაგვიანდა.

ახლა ვიფიქრე: იქნება მენდური რამეს თქვა და თუ მართლა ასთეა გევიგოთ და ჩამუაგდოთ სეპარატნი ზავი. ყველაფერ უსტუპკაზე წამუალ ოღონდ შენ მყავდე ზაპასში გაჭივრების დროს ნუგეშათ. ბოშო ბეკო, მარტო მე რავა გთხოვ შენს ყურადღებას, მთელი მეზობლები მეხვეწებიენ: შენ სთხუე, ქაქიჩ, და შენს გარდუვალს არ იზამს, მოგვწერს და გვეტყვის, ცხოვრებაში ჩახედული კაციაო. კაი ღმერთმა მოგცეს ყველაფერი ეს კაია, მარა გაყრი, გაყრი ამ წერილებს რკოსავით და შენ თავსაც არ იფხან.

როვა, როდიმდი უნდა ვიჩხუბოთ, კაცო? ერთი ჭაკი ცხენი მყავდა, მთელი იმედი იმაზე იყო ჩემი, და გევიხედოთ, აგერ გუშხამ, მობილიზაციაში გეიწვიეს. ბოშო და, რავა ქალები აკი არ მიყავენო?

„ეფრემ-ვერდის“ წიგნში თლათ ამოკაკულია დღემანდელი ჩვენი ამბავი. ომი ექეს წელიწადს გაგრძელდება

ამასთან ჩამოვარდება შიმშილი და ჭირიო. ყორიფელი გაძვირდება, ფარა კი გაიაფდებაო.

ამასწინათ ქიზიყს ვიყავი, ანაგის მთავარ-ანგელოზში სალოცავათ. ერთ იქაურ მარჩიელსაც ვარჩევიე ქვეყნის ამბავი და ბევრი მართალი მითხრა: „აი ჩხუბი იმის ბრალია, რომ თაყვანს ახალ-ახალ ხატებს ვსცემთ და ძველი კი დავივიწყეთო. თუ გვინდა ომი გათავდეს, თითოეულმა ოჯახმა თითო ცხვარი მაინც უნდა შემოსწიროს ანაგის მთავარ ანგელოზსო“.

შენი წერილი უფრო იმიზა მინდოდა, ეგებ მაქ იყოს ვინმე გამოჩენილი ჯადოქარი და გაგვაგებიე: რა მოგველის, რაფერ იქნება ჩვენი დღეი და მოსწრება.

შენი ძმაი და მონატრული

ძაძიჩ ხვირჯინაძე.

—

P. S. ძმაო ბეკო! აქეთ რაცხას ფუჩუნობენ, ვითომ ქორწილს აპირობდეთ მაგ შენს ქალაქში, ახლო. ხელი მოგიმართოს ღმერთმა. მაი ბიჭი ქე გყავს საცოლო და ბარემ ახლა თუ აღარ დააქორწილებ, მერე აღარც ეღირსება. მე მგონია მაგას სალდათობა აღარ მოუწევს. მართალია ახლა უზრუნველი აღარავინ არ არის, მარა მაგას ბანკში ფულები აქ შავი დღისთვის შემონახულიო და თავს გამოიძვრენს. ფილიმონ მოგახსენებს,—მრავალ ცოლიანობის ზაკონი გამოდისო და რავაა საქმე? შენ თუ არ იცი აპა სხვას ვის ეცოდინება. ანუგეშე მაი ბიჭი, რომ თუ ერთი არ გამოდგა, მეორე და მესამე ქალი მონახოს. აბა შენ იცი, ბეკოს ჭირიმე თუ ამ წერილის პასუხს მაინც არ დამიგვიანებს. მარკას და კარმენტს ქე ვდებ შით, შენ ოღონდ დასწერე ორი ღერი სიტყვა და ჩააგდე იაშიკში.

ძაძიჩ.

ᲨᲐᲠᲐᲓᲘᲐ

წაბაძულობით ცხოველი,
რომელიც გახდა ფრთოსანი,
(როგორც მე, კოღოს მიბაძვით,
გავხდი შარადის „მგოსანი“).
წინაპრები რომ დასტოვა,
ახლებმაც იუცხოვესო,
მიწაზე გავლა მოესპო,
ჰაერშიც დაითხოვესო.
ბნელეთში ცხოვრობს დასჯილი,
უთვისტომო და ეული,
(ჯიშის და გვარის მგმობელი
გამჩენისაგან წყეული).

—

ქართველთა ტომის ნიწყვეტი,
დროთა ბრუნვაში ძველათა
სჯული და ენა დაჰკარგა,
არავინ ყავდა მცველათა.
ეხლა კი ვეპატრონებით
ჩვენ ეროვნული აზრითა,
(ჩამორჩენილი ხალხია
თავის კულტურა—ბაზრითა).

—

ისტორიული მდინარე,
ძლიერ დიდი და სწრაფია,
მგონი სამხრეთში გამოდის,
(ხელს მიშლის გეოგრაფია).

—

საგანი სამი სამთავე
არის სამ-სამი მარცვალი,
ჩვენ პირველები გვჭირია,
(არც ნისია გვაქს, არც ვალი).

—

შარადაც გამომცხვარია,
ვისაც მადა აქვს ჭამისა,
(უფრო იოლათ ის ახსნის,
ვინც გემო იცის ქრთამისა).
განუსაზღვრელი ძალა აქვს
და ანადგურებს ყოველსა
ზღვა და ხმელეთი უპყრია
უმაკნო სისხლის მწოველსა.
გემს ღუპავს, ციხეს დააქცევს,
მტერს მისცემს ქალაქ-მხარესა,
(ღმერთიც სდევნის და კანონიც
თუმც ვერრა მოაგვარესა),
მას ისევ ხალხი თუ ნოსპობს
ხალხური სამართლითა,
რომელიც მე და ჩემს მკითხველს
გვინახავს ჩვენის თვალითა.

ბუტუნა.

გაცრუებული იმედები

(მიბაძვა.)

აქტიორ-სტატისტი „ავლაბარი“-სა
და ბელეტრისტი „ზვირთელ“-თ ჯარისა
ნუნუას ტკბილად შეექტეოდნენ
და უბედობას არად აგდებდნენ.
უცბათ სტატისტი წამოდგა ფეხზე,
ხელი გადისვა ცხვირ კეხზე,
დრამატიულათ დაიროუინა,
მოძმეს ნაფიქრი შეატეობინა.
სთქვა; ტოტათ ძნელი იყო პირველში,
რადა თქმა უნდა, ეს დარჩეს ჩვენში,—
ახლა კი ვიცი მუდამ წინ წავალ,
დიდების მთაზე ადვილათ ავალ,
და მესხიშვილი დიდათ ქებული
კუდში მომყვება დაწუნებული.
მუდამ შემამკობს ლამაზთა ტაში
და ვიცურავებ თაიგულთ ზღვაში;
ბელეტრისტმა კი გაწმინდა პენსნე,
(თუ შეგინიშნავთ სჯირთ იმ:თ ეს ზნე),
დარბაისლურად ასწია თავი,
(იყო რამ უცხო ის სანახავი)
და სთქვა: ტოტატ, ძმავ, და ქართველებში,
მთელს ჩვენს მწერლებში, ახლებ-ძველებში,
ქებისა გვირგვინს მე მომართმევენ,
მეორე აკაკს მით დამარქმევენ.
ოთხელი სტატისტი „ავლაბარი“-სა
და ბელეტრისტი „ზვირთელ“-თ ჯარისა
ერთმანეთს ხშირად ველარ ხვდებოდნენ,
ნუნუას ველარ შეექტეოდნენ.

ჩრჩილი

კეკელას წერილი ქმართან

(ბრძოლის ველზე მიწერილ.)

(ადრესი კონვერტზე დაწერილი)

იზ ტიფლის ნა გერმანია,
მოი მუჟუ ნა პოლოსუ,
ჩულურეთსკი მიკიტანუ,
კუპეწუ დლინომუ ნოსუ.
პრამათ ხელში გადაეცეს
მოი პისმა ჩემსა მზესა,
სამ ძაფიან ჩემს პოლოსის,
სტარში მუდრეგ აფიცერსა.

—

ჩემო ძვირფასო და ყოველ ჟამს საგონებელო კუკლა პოლოს! რასა იქ და როგორა ხარ? ქა, ქაცო, რამ გადაგრია, ამ ბოლო დროს რევნოსტნობა რომ დაგიწყია! განა მე შენ გიღალატებ! უი, უწინამც დღე დაელიოს კეკელას! განა ეგრე მაქ მე დაცული ნამუსი!! როცა მთელი ჩულურეთი იხრუკებოდა ჩემთვის, მაშინ ყველას პირში ჩალა გამოვავლე შენის გულისთვის და ნეუჟელი როცა სიბერისკენ მივრახრახებ ეხლა გიღალატებ! რაღა დროს ჩემი გვერდზე კუდის ქანებაა! იწერები: „ქალაქში ფუტურისტები გაჩენილანო და არ გაგაბრიყონო“. ადამიანო, განა მე ეგრე მიცნობ! არშიყობა რომ მინდოდეს განა ჭკვიანი ხალხი ცოტაა, რომ გიჟებსა და ფუტურისტებს არ ვეარშიყო! ვაი, აფსუს კეკელ! ვაი, მეხი კი დავაყარე იმათ ფუტურო თავზე! ვეარშიყო და იმისთანა ქალაჩუნებს!!.

არა, პოლოს, გენაცვალე,
ჩემო ბიჭო, წვერებთხელა,
მთელი ქვეყნის ფუტურისტი
შამოგევლოს ერთად ყველა.
ახ, ნეტავი ერთი გნახო,
ჩემო პოლოს, დუშა მოი,
პრიეჟაი, გენაცვალე,
ია ვსეგდა ბუდიმ ტვოი.
მოდი, მნახე, ნე რევნუი,
მოდი ერთი მაიცალე,
შენი საბან-ქვეშაგები
გელოდება, გენაცვალე.
მოდი, ერთი გამახარე,
დაუბრმავე ჩვენს მტრებს თვალი,
გადიკიდე ვაჟკაცურად
რუჟო: ხანჯალ-დამბაჩ-ხმალი.
მე გავიგე თურმე გრუდი
ჩინ-მენდლებით მოგიჭედავს,
შენთან პრამათ ლაპარაკსა
ღენერალიც ველარ ბედავს!
ერთი ვნახო შენი ჩინი,
ამდენი გაქვს მართლა განა,
აქ კურდღლისა გეშინოდა,
მანდ რა ჰქენი მაგისთანა?!
დარაგოი მოი პოლოს,
ჩემო საბაკ, ჩემო მელავ,
ჩემო ბარან, ჩემო ყვავო,
ულვაშებავ და ცხვირგრძელავ;
გელოდები, ჩემო ბიჭო,
შენთვის დამწვარ-დახრუკული,
ტებე ლუბლუ, გარიტ კრუგომ:
კიშკი, ფილტვი, ჯიგარ-გული.
ესლი პრიდოშ, პიში პისმა,
რომ ჩავიცვა „კოლო-კოლო“,
შამხედო და დაიხრუკო,
აგერიოს თავი-ბოლო...

გოგია.

სახუმარო რვეულიდან

4.

ფათერაკი, რომელიცა რომა მე შემემთხვა.

სულ ორი დღის ჩასული ვიყავი ქალაქ №-ში, რომ მეგობრებმა დიდის ამბით გამაცნეს ერთი ამხანაგი ქალი. ადამიანი გულკეთილი, ხელგაშლილი და მდიდარი. სახლის კარები ყველასათვის ღია ჰქონდა, მისი სუფრის გარშემო ყოველთვის იშოვიდა კაცი დასაჯდომ ადგილს, მის გარშემო უბრალოება და გულწრფელობა მეფობდა. ასე გამაცნეს და შემდეგში მეც დავრწმუნდი, რომ მართლაც ასე იყო.

მისმა ლაპარაკმა, მიმოხვრამ და ყოფა-ქცევამ გაცნობისათანავე დამარწმუნა, რომ საქმე მქოდა ფართო და ცოტათ თუ ბევრათ მაღალ საზოგადოებაში მოტრიალე ადამიანთან. ამ საზოგადოების ეტიკეტი, ანუ ეგრეთ ხმობილი „კარგი ტონი“ მას

პირდაპირ შესისხორცებული ჰქონდა და ვერასოდეს ვერ შეამჩნევდით რაიმე ხელოვნურ, ძალდატანებით მოძრაობას, მოუხეშავ მიმოხვრას. ყველაფერი შვენოდა, ყველაფერი სიტყვა თუ მოქმედება კოხტა და გრაციოზული იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ თქვენი უმორჩილესი მონა დიდი ტეტია ვინმეა და ზევით ჩამოთვლილ თვისებებთან მას არაფერი საერთო არა აქვს, კიდევ მეტი, ამ თვისებათა გამოჩენისთვის დაუცინია და კიდეც უამაყნია, რომ ის ასე გამოწაკული არაა, რომ კუდის ქიცინით და წელში გაბზნეკით ვინმეს ხელი ჩამოართვას. დიახ, მიუხედავათ ყველაფერ ამისა მე საშინლათ მომეწონა ახალ გაცნობილი ქალი და რაც ყველაზე უარესია, თითონაც აღმეძრა მასავით დარდიმანდულათ მიმოხვრის სურვილი.

— ბიჭოს, რა ცოდვა იქნება ვითომ მეც რომ ლამაზათ ავამოძრავო ჩემი სხეულითქო, — შეწუხებით ვკითხე ჩემ თავს და პასუხის მიღებამდე გადავწყვიტე, როგორც უნდა მოვქცეულიყავი.

ხელათ მოვიკრიფე გამბედაობა, დარდიმანდულათ ავამოძრავე სხეული და შესაფერათ წელში მოხვრით და ყურების აცქვეტით დაუწყე ახალ გაცნობილ ამხანაგ ქალს სმენა; ვეცადე თავის დროზე მეთქვა: „დიახ, დიახი“, პარდონი, უკაცრავათი, მერსი და სხვა ამისთანები.

როგორც წამსვე დავრწმუნდი, პირველი ჩემი ნაბიჯი შესანიშნავი შეიქნა: უდროვო დროს არაფერი არ მითქვამს, უალაგო ალაგას არ გამიღრეჯია, ხეპრული რამე არ მიროტავს და რაც თავი და თავია, აშკარათ შევიტყვე, რომ სხეულის მოძრაობის დროს ერთგვარმა რითმმა იჩინა ჩემს არსებაში თავი: ხელების გაშლა-გამოშლა რაღაც ლამაზათ გამომიდიოდა, თავ-კისერსაც ლაზათიანათ ვხრიდი. ფეხის ქუსლებზე კი ისე ვცურავდი, როგორც ახალგაზდა გუსარი, ხოლო რაც შეეხება ყველა ამ ნაწილობრივ მოქმედებათა არ მოღლულათ ამოძრავებას, ის ისე მოხდენილი იყო, რომ რომელიმე ბალეტომანს რო დავენახე, დარწმუნებული ვარ წინადადებას მომცემდა შესაფერი ადგილი მომეძებნა პლასტიურ ხელოვნების სასამსახუროთ.

— გასკდით დალკროზის მოწაფეებო გულზე, — ვფიქრობდი სიხარულით, — თქვენსავით არ გამივლია რითმის სკოლა, მარა აბა ერთი შეხედეთ თქვენზე ნაკლებათ თუ მამოქმედებს ჩემი შინაგანი რითმათქო.

შევატყვე, რომ ამხანაგ ქალსაც თვალში დაუჯდა ჩემი რითმული მოძრაობანი, ამან სულ ფრთები ამასხა.

— იცით რას გეტყვით, — მომმართ ახალ გაცნობილმა, — ამ საღამოს უთუოდ ვახშამზე უნდა გვეწვიოთ, ყველა ჩვენები მოვლენ, თქვენი გულისთვის განსაკუთრებული ელფერი უნდა მივსცე წვეულებას.

წინადადება ერთობ სასიამოვნო იყო; უპირველეს ყოვლისა სასიამო იმიტომ, რომ მე შემეძლო ჩემი სხეულის რითმი კიდევ მეტათ გამომემეზეურებია, ჯენტლემენობაში გამომეცადა თავი და ვცდილიყავ შემეხორცებია ის თვისებანი, რომელნიც მე ასე მომეწონა ახალ გაცნობილ ქალში.

მთელი დღე პირდაპირ ვეკეკლუცებოდი ჩემს თავს და ვინ იცის როგორ უმადლიდი, რომ სრულიად მოულოდნელათ ასე მასახელა. გადავწყვიტე უთუოდ რაღაც არტისტიული ნიჭია ჩემს არსებაშიქო და გულის ფანცქალით დავუწყე ცდა საღამოს მოახლოვებას.

კიდევაც დადგა სასურველი წამი.

გამოვეწყვე ჩემი ფიქრით კოხტათ; შევბერტყე-შემოვბერტყე ჩემი ტომრისებული კოსტიუმი, შარვალი გავაუთოვე, მაგრამ ვერაფერის გზით ვერ გამოვიყვანე ის სწორი ხაზი, რომელიც გადანაკეცს აჩდება და ზედ მუხლის კვირისტავზე გადივლის. საყელო ახალი ვიყიდე, ქუსლებზე რეზინები დავიკედე, რომ მეტი სიმჩატე ეგრძნო, ფეხსაცმელი არ გამივაქსავს — ღამია და თანაც ვინ დამინახავს-თქო; დიასახლისის ქალიშვილს „დუხი“ მოვპარე და ცხვირსახოცი გავისურნელე. ქურდობა იმიტომ დამჭირდა, რომ პირდაპირ თქმა მცხვენოდა: ის მიყურებდა, როგორც ისეთ კაცს, რომელიც სასტიკათ დავსცინოდი ყოველ გვარ „ფინტიკლუშკებს“ და უცებ რო „დუხი“ მეთხოვა, — უთუოდ ქარაფშუტათ ჩამთვლიდა. ოო, ვინ იცის რამდენჯერ ამაყათ მითქვამს მისთვის: მე პატივს ვსცემ იმას, ვისაც ოფლის სუნი ასდის და არა „დუხის“-თქვა.

მოდი და ასეთმა „დუბინამ“ ახლა სურნელოვანი სითხე ითხოვე!

მე უკვე მასპინძლის დერეფანში ვარ; დავადე სალოკი თითი ზარის ფოლაქს და ველი კარის გაღებას.

— მობრძანდით გეთაყვა, — კარის გაღებისთან ერთათ შემომცქერიალა მშვენივრათ მორთულმა ას-

ულმა და ლამაზათ სხეულის დახვრით რაღაც სალამისებური მომიძღვნა.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო! არა ნაკლების კოხტაობით ვუთხარი მეც რეზინებ ამოკრულ ქუსლებზე ტანის ათამაშებით და შესაფერათ წელში გაზნექით და მხრების გაწკიპარტებით ხელიც გაუწოდე.

— კირაკოზ კირაკოზიჩი გახლავართ,—თანაც ღიმილით ჩავჩურჩულე ბანოვანს, რომელიც პირველათ თითქოს შეკრთაო ჩემი ხელის გაწევით, მაგრამ უცებ გასწორდა, თამამათ შემომხედა და თავაზიანათ მიპასუხა:

— ანნა ფეოდოროვნა!

— ეს უთუოდ და იქნება ჩემი ნაცნობი ქალისა,—გავიფიქრე გულში და ძალიან დაუმადლე ჩემს თავს, რომ ასე ლამაზად გავეცანი ამ ცქრიალა გოგოს. მე ამ ფიქრში ვიყავი გართული, რომ ანნა ფეოდოროვნა, თითქოს ცეკვავსო, სხეულის თამაშით მიუახლოვდა სასტუმროს კარებს და გრაციოზულათ ხელების გაშლით „შემობრძანდით, ბატონოვო“. თავზე წითელ ლენტ დაბნეული და ხელებ გაშლილი ანნა ამ წუთს ფრთებ გაშლილ ანგელოზს შევადარე და ის იყო შესაფერის ღიმილის მისაძღვნათ გადავხედე, რომ ოთახიდან თითქმის ერთხმათ მომესმა:

— ოო, კირაკოზაც მოვიდა, კირაკოზიც-ო. სრულიად მოულოდნელათ ჩემკენ მომართულმა სახეებმა პირველათ ლამის დამაბნია და ჩემებურათ დამიკარგა, როგორც შნოიანათ მოძრაობის, ისე გასაგებათ ლაპარაკის უნარი, მაგრამ უცებ მომაგონდა, თუ რა მშვენივრათ ვიქცეოდი დღეს და მაშინვე შესაფერის სითამამით შეიარაღებულმა, ყველას დარდიმანდულათ შევსცინე და საერთო ღრიანცელში მეც გავერიე.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ პირდაპირ საუცხოვო იყო ჩემი მოქმედება: ხელი ისე ჩამოვართვი ყველას, რომ ერთხელაც არ შემიცილებია და საძებრათ არ გამხდომია სხვისი თათი, ერთ სკამსაც კი არ წავბორკებივარ, არავისთვის ფეხზე ფეხი არ დამიდგამს, არავისთვის იდაყვი არ წამიკრავს, არც ერთ შკაფს არ დავტაკებივარ. მისალმების შემდეგ ნელათ მიუახლოვდი სკამს, სრულიათ აუხრიგინებლათ დავახევინე უკან და სრულიათ დაუჯგურებლათ დავჯექი ზედ. ამ დროს სურნელოვანი ცხვირსახოცი ამოვიღე და კეთილ დიასახლისს ღიმილით თვალებში შევყურებ, ცხვირის ნესტოები შევფუჩნშამოვფუჩნე.

— როგორ მოგიკითხოთ ამხანაგო? შესაფერის სიდინჯით და თავის დაქანებით მივმართე დიასახლისს, რომლისაგანაც სანუგეშო პასუხი მივიღე თუ არა, მერე სხვა დამსწრეთ მივმართე.

გაჩაღდა მუსაიფი, მეგობრული ბაასი. ვერ წარმოიდგენთ რამდენმა ენის თუ გონების მახვილობამ იჩინა ჩემში უცებ თავი! სრულიად მოულოდნელათ ისე მოხდენილათ მოვყევი ესა თუ ის ამბავი, რომ საერთო სიცილი გამოვიწვიე. პირველმა გამარჯვებამ მეორისკენ წამაპოტინებია ხელი, მეორემ მესამისკენ და სულ ათიოდე წუთის განმავლობაში თქვენი კირაკოზა მუსაიფის დედაბოძი შეიქნა. ყოველი ჩემი სიტყვა სიცილს იწვევდა, რაც უნდა სისულელე მეთქვა, ყველას ენა მახვილობათ მიაჩნდა.

— ბიჭოს, რა ყოფილა ეს ჩვენი კირაკოზაო,—იძახდნენ ჩემი ახლო ნაცნობები,—კაცო ასეთი მოლაპარაკე თუ იყავი, დღემდის სად იმალებოდიო, მეუბნებოდენ.

მეც, რასაკვირველია, თავი მომქონდა, ხუმრობა საქმე იყო? სრულიად მოულოდნელათ შესანიშნავი მანერებიც გამომჩნდა და ენა-გონების სიმახვილეც. პირდაპირ აღტაცებაში ვიყავი, ყველას მოვსწონდი, განსაკუთრებით დიასახლისს, რომელმაც ვახშმის წინ ყველას გასაგონათ განაცხადა:

— ჩვენი კირაკოზ კირაკოზიჩი არისტოკრატიული დემოკრატია-ო.

დადგა ვახშმობის დროც. საშინელის სიფრთხილით ვიქცევი: ვფიქრობ ღვინო არ დავაქციო, სტოლს არ დავეჯახო, დანა-ჩანგალი შესაფერათ ვიხმარო, პური ლამაზათ მოვტეხო, სალფეთქი კოხტათ მივიმაგრო ყანყრატოსთან, გულზე არაფერი დაგიწვეთო და, რაც თავი და თავია, საჭმელები წესრიგზე მოვითხოვო: ჯერ ერთნაირი, მერე მეორე და ასე ბოლომდი. თანაც ვცდილობ ბევრი არ ჩავხამო უცებ. ყველაფერ ამისთვის შესაფერი ზომები მივიღე და, თავს არ ვიქებ, მშვენივრათაც ვასრულებდი ყველაფერს. მაგრამ უცებ კიდევ შემიჯდა მხარში ენა მახვილობის ეშმაკი და დანა-ჩანგლის დარაწკუნებით განვაცხადე:

— ამხანაგებო, გთხოვთ ყური დამიგდოთ! ყველამ სული განაბა და შემომცქერიან, დარწმუნებუ-

ლი არიან, რომ რაიმე სასაცილოს ვიტყვი. მეც, თუმცა სასაცილო რამის სათქმელათ არ ვემზადებოდი, ჰაგრამ მდგომარეობა სრულიათ შევიფერე და ჩახველების შემდეგ სკამზე უკან გადაზნექით დავიწყე:

— ჩვენ, ქართველებს, ერთი ჩვეულება გვაქვს: დიასახლისი, როცა სტუმრის სამსახურით გაძღება, მერე ის უთუოდ სუფრას უნდა მოუჯდეს.

— მე აკი აქ გახლავართ,— მომიჭრა უცებ სიტყვა დიასახლისმა.

— დიახ, თქვენ აქ ბრძანდებით, მაგრამ მე აქ ვხედავ მეორე დიასახლისსაც, თქვენს დას...

— რომელს, რომელს?.. კითხულობს ყველა.

— როგორ თუ რომელს,— გავიკვირვე მე,— აი ანნა ფეოდოროვნა, რომელიც მთელი საღამო გვემსახურება და იმდენი დრო კი ვერ უშოვნია, რომ სუფრაზე გვეწვიოს.

— რომელი ანნა ფეოდოროვნა? გაიკვირვა დიასახლისმა.

ამ დროს კარები გაიღო და ხელში საჭმელებიანი ხონჩით ანნა ფეოდოროვნაც შემოვიდა. მე პასუხის მაგიერ გრაციოზულათ ხელი გავიშვირე და ანნა ფეოდოროვნაზე მიუთითე.

— როგორ? ანიუტაზე ლაპარაკობთ?

— დიახ,—სრულიად დამშვიდებით მოვახსენე, თქვენი და, ანნა ფეოდოროვნა...

— როგორ თუ ჩემი და?—გაიკვირვა ქალბატონმა,—ეს მოსამსახურე გოგოა...

— გოგო? ვიკითხე უცებ შემკრთალმა,— მე აკი მას გავეცანი კარებში... ვინაობაც მითხრა...

— ხა... ხა... ხა... გაისმა უცებ გესლიანი ხარხარი სუფრაზე.

— როგორ, კაცო, მოსამსახურე გოგოს გაეცანი? ვინ გეგონა? დიასახლისის დათ ჩათვალე? რა მოსაზრებით ვინ, გითხრა?—მაყრიან კითხვებს პანტასავით. მე კი სულ დამებნა აზრები და რა ვსთქვა, არ ვიცი, მხოლოთ რაღაცას ვლუღლუღებ.

ვატყობ დიასახლისი თავს იმაგრებს, არ უნდა შემარცხვინოს, მაგრამ, როცა ანიუტამაც ვერ შეიმაგრა თავი და ფრუტუნ-ფრუტუნით კარში გავარდა, მაშინ კი დიასახლისსაც აუვარდა ხარხარი.

— ხა... ხა... ხა... რა სასაცილოა! კირაკოზ კირაკოზიჩ ანიუტას წარუდექით?.. ხა... ხა... ხა...

— ხა... ხა... ხა... ბანს აძლევდენ სხვებიც.

ისე კარგათ მორთული იყო, ისე თავაზიანათ შემომეგება... ვითომ ვიმართლებ თავს რაღაცის ლუღლუღით, მაგრამ ვამჩნევ, რომ არაფერი გამოდის, პირიქით უფრო ვაძლიერებ საერთო ხარხარს.

სუფრას თავი ანებეს, ზოგი ზევით წამოხტა და მუცელზე ხელის შემოხვევით იცინის, ზოგი ხარხარით გამოწვეულ ცრემლებს იწმენდს, ზოგი კიდევ რას.

მე მოვკვდი კაცი. მოვიშალე, სირცხვილით თავს ვერ ვწევდი ზევით. სად არის წელანდებული სითამამე, დარდიმანდობა, გრაციოზული მოქმედებანი! სხეულის რითმაც დამეკარგა და ენისაც, ისევ ძველ ბაგეში ჩავდექი, ერთის ხელის აქნევით ჩამომშორდა ჯელტმენლობის როლი.

— რათ ვერ დავეტიე ჩემს ტყავში, ვინ მჯიდა, რათ ვერ შევიგინი, რომ ტეტია მუდამ ტეტიათ იქნებოდა,—ვესაყვედურები ჩემს თავს და ერთ ადგილას დაკოსებულს სიკვდილი მენატრება.

—

დღესაც როცა მომაგონდება ეს ამბავი, ყურებამდის ვწითლდები. დასწყევლოს ღმერთმა! როგორ ვიფიქრებდი, რომ მოსამსახურე გოგო ისე კოხტათ გამოწყობილი და თავაზიანი იქნებოდა. თუ რომელიმე ჩემი წრის კაცის ოჯახში მოსამსახურე კი მინახავს, ის უთუოდ წიგებ ჩაქუცული იქნებოდა, ჩამოკინკული, გამურული. ეს კი ქალბატონს გავდა. მოდი და ნუ შეცდები.

ამ ფათერაკის შემდეგ ერთხელაც არ აღმძვრია ჯელტმენობის სურვილი და უცებ ჩავდექი ჩემს ქერქში: ისევ ჩემებურათ ვიქცევი და პრინციპიალურის მოსაზრებითაც კი ვამართლებ ამას. ალბათ მდგომარეობა ქმნის ჩემს შეგნებასაც: „კატა ვერ წვდება ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“.

ვ. მალაქიაშვილი.



მოწოდება

,,ეშმაკის მათრახის'' ცნობილმა თანამშრომელმა ბ-ნმა **მორიელმა** საშვილიშვილო საქმე განიზრახა.

ის აპირებს: კრიტიკულათ განიხილოს

ჩვენი უკვდავი მგოსნის

სოლომონ ზურგიელიძის

ნაწარმოებნი; გააცნოს იგი ფართე საზოგადოებას და ნათელჰყოს სულიერი კავშირი დიდებულ ცხედარსა და თანამედროვე ქართველ მოკალმეთა შორის.

„კარგათ მესმის, რა ძნელი საქმეც არის კრიტიკოსობა,— ბრძანებს ბ-ნი მორიელი,—შორს მჭვრეტელობასა, განვითარებულ ყნოსვასა და შეხებასთან ერთად, კრიტიკოსს ხინდისიც სჭირია. დღეს კი კრიტიკა თითოეული მკითხველის პირად შთაბეჭდილებას წარმოადგენს. ის გამოიხატება ან „**ჰოებით**", ან კიდევ „**ფუებით**". მეც ვიტყვი ჩემს ,,**ჰოჰს**', ან ჩემს ,,**ფუს**", მაგრამ ვიტყვი ისეთი დიადი პიროვნების შესახებ, როგორიც იყო შეუდარებელი მგოსანი სოლომონ ზურგიელიძე".

ხელი მოუმართოს ძალმან ჯოჯოხეთისამან!

ჩვენი რედაქცია ენერგიულათ მოუწოდებს ყველას, ნიჭიერსა და უნიჭო ქართველ მწერლებს, მოაწოდონ ბატონ **მ ო რ ი ე ლ ს** ყოველგვარი ხელნაწერები ჩვენი საყვარელი მგოსნისა, ან მისი კერძო მიწერ-მოწერა; უნდა იცოდეთ, რომ თითოეული კუპლეტი მისი ლექსისა უდრის 536 დესეტინა მიწას, როგორც სხარტულათ სთქვა ერთხელ სოლომონის სულიერმა მემკვიდრემ გრიგოლ რობაქიძემ.

ნუ დაიშურებთ შრომას მამულისათვის...

ბათუმელ არ ეემას. ჯერ ერთი, რომ თქვენი ვინობა უნდა ვიცოდეთ და მეორე, თქვენ უნდა იცოდეთ რომ არავისთვის საინტერესო ის არ არის, თუ რომელი დანჩხუოელი მღვდელი ეპირება ბარტხანიდან ფერიაში სარეეზიოთ გადასახლებას. არც ის გაქვთ ნახსენები, თუ რას უნდა უყოს ეს რევიზია. მეორე,—ტნობა, რომ დაზარეს ქუჩაზე ბინა № 31—3. უტეტხლოდ იწვისო, ჩვენის შეხედულობით სინამდვილეს არ მოგვეს, რადგანაც ბინის უტეტხლოთ დაწვა შეუძლებელია, იტუვინ,—სიუვარულმა დამწვა უტეტხლოდო, ბინისა კი რა მოგახსენო. არც ის ვიცით რომელი სახლის ბინაზე ამბობთ. ამიტომ ნურას უკაცრავად რომ თქვენი წერილი უტეტხლოდ დაიწვა, მოგვწერეთ დიათ, გარკვეით ყოველივე და დავბეჭდავთ.

ბაქოს ქალაქის გამგეობამ წინადადება მიხცა მ ა. ჯაბარს იკისროს იქაური სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელობა.



მ. ა. ჯაბარი. მიმზიდველი წინადადებაა: 12000 მანეთი წლიური ჯამაგირი სასურსათო საქმის ხელმძღანელობისათვის. მხოლოდ ერთი დაბრკოლებაა... ვშიშობ კოწია თუმანოვმა დამრთოს ამის ნება...

რედაქტორ-გამომც. **თ. ბოლქვაძე.** ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1